583
1966/3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 4 (303)

1966 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (303) აპრილი 1966 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 403-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
61. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო და წყალტუბოს რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.
62. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.

განყოფილება მეორე

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. გ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

10 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 403-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 403-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგნაირად:

„მუხლი 403. **მოვალის ხელფასიდან და სხვა სახის შემოსავლიდან გადახდევინების წესი**

სასამართლო აღმასრულებელი გზავნის სააღსრულებო საბუთს სათანადო დაწესებულებაში, საწარმოსა თუ ორგანიზაციაში, სადაც მოვალე მუშაობს, ანდა იღებს გასამრჯელოს, პენსიას, სტიპენდიას თუ დახმარებას, — წინადადებით, რომ დაუკავონ მას შესაბამისი თანხა და გადაუგზავნონ იგი გადამხდევინებელს ან ჩარიცხონ სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელი თანხის ოდენობა არ აღემატება მოვალის თვიური ხელფასის (ანდა სხვა გასამრჯელოს, პენსიის, სტიპენდიის თუ დახმარების) იმ ნაწილს, რომლიდანაც კანონით შეიძლება ფულის დაკავება, და გადახდევინება უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულების ან საწარმოს, ანდა კოლმეურნეობის და სხვა კოოპერაციული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ, გადამხდევინებელი სააღსრულებო საბუთს შესასრულებლად უგზავნის უშუალოდ იმ დაწესებულებას, საწარმოს ან ორგანიზაციას, სადაც მოვალე მუშაობს, ანდა იღებს გასამრჯელოს, პენსიას, სტიპენდიას თუ დახმარებას.

სამუშაოდან მოვალის დათხოვნისას დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია უკან უბრუნებს გამომგზავნს სააღსრულებო საბუთს, რომელზედაც აღნიშნავს დაკავებულ თანხას და მოვალის ახალ სამუშაო ადგილს, თუ ეს ადგილი ცნობილია“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 22 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 „მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო და წყალტუბოს რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა „მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო და წყალტუბოს რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, აღნიშნავს, რომ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დროულად დასახა და განახორციელა პრაქტიკული ღონისძიებანი ადმინისტრაციული კომისიის მუშაობის გასაუმჯობესებლად, აღმასკომი პერიოდულად იხილავს კომისიის მუშაობის საკითხებს და ატარებს თათბირ-სემინარებს.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წყალტუბოს და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ ადმინისტრაციულ კომისიათა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახულ ღონისძიებათა გატარებას.

წყალტუბოს რაიონული საბჭოს აღმასკომს არ განუხილავს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილება; ადმინისტრაციული კომისიის მუშაობას კვლავ სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია. ასე მაგალითად, კომისიის სხდომათა ოქმები გაფორმებულია არასრულყოფილად და არ შეიცავს დებულებით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ მონაცემს, სრულიად არ ფორმდება დადგენილება ადმინისტრაციული სასჯელის შეფარდების შესახებ. 1965 წელს, ძალადაკარგული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაჯარიმებულია 12 მოქალაქე. არის შემთხვევები, როცა მილიციის განყოფილება, საპასპორტო რეჟიმის დარღვევის გამოვლინებისას, ადმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, წინასწარ ახდევინებს მოქალაქეს ჯარიმას, ხოლო ადმინისტრაციული კომისია რამდენიმე დღის შემდეგ აფორმებს ამ მოქალაქის დაჯარიმებას თავის სხდომაზე.

ადმინისტრაციული კომისიები ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ აღმზრდელობით მეთოდებს, არ აწყობენ გამსვლელ სხდომებს, ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ არ აცნობებენ საზოგადოებრიობას დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არ გადასცემენ მასალებს სათანადო ორგანიზაციას ან ამხანაგურ სასამართლოს დამრღვევის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

ხშირად ირღვევა საქმის განხილვის დებულებით დაწესებული ვადები. მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას სხდომების ჩასატარებლად წინასწარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფილი აქვს თვეში ორი დღე, რაც, თავისთავად, 10-დღიანი ვადის დარღვევაა. თვითეულ სხდომაზე საშუალოდ იხილება 80-85 საქმე, რაც არსებითად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ადმინისტრაციული კომისიები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან ჯარიმების დროულად ამოღებისათვის; არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ჯარიმას ახდევინებენ დებულებით გათვალისწინებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი ხშირად არღვევს „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-5 მუხლის მოთხოვნებს და გამოაქვს გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რაც მის უფლებამოსილებას სცილდება.

მილიციის ორგანოების მიერ შედგენილი ოქმები (აქტები) ხშირად არ შეიცავს ყველა საჭირო მონაცემს და დაგვიანებით ეგზავნება ადმინისტრაციულ კომისიას (ქ. თბილისის პირველი მაისისა და ოქტომბრის, ყვარლის და წყალტუბოს მილიციის რაიონული განყოფილებები).

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ კომისიების წევრები კარგად არ იცნობენ მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო საბჭოებისა და აღმასკომების ხელმძღვანელობა ნაკლებ დახმარებასა და კონტროლს უწევენ მათ მუშაობაში. აღნიშნული რაიონებისა და ქალაქების პროკურორები სათანადო ზედამხედველობას არ უწევენ ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უმოკლეს ვადაში შეამოწმონ „მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო და წყალტუბოს რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების შესრულება, განიხილონ შემოწმების შედეგები და მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ მუშაობაში ფართოდ ჩააბან საბჭოების აქტივი, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები.

2. რჩევა მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოებს თავიანთ სესიებზე განიხილონ იმ გადაწყვეტილებათა მიღების პრაქტიკა, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ბერძენიშვილი) გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ადმინისტრაციული კომისიების მუშაობისადმი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს (ამხ. ე. შევარდნაძე) გააძლიეროს კონტროლი მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული საქმიანობისადმი, უზრუნველყოს ამ ორგანოების მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის განუხრელი შესრულება.

5. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული მოეწყოს თათბირ-სემინარი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების თავმჯდომარეებისათვის მიმდინარე წლის სექტემბერში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 22 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. ქანთარიას ანგარიში რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე გაწეული აქვს გარკვეული მუშაობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისა და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად. რაიონმა წარმატებით შეასრულა ხორცის, რძის, დაფნის ფოთლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გასული წლის გეგმები.

რაიონული, საქალაქო და მთელი რიგი სასოფლო საბჭოების სესიები და აღმასკომების სხდომები ტარდება დადგენილ ვადებში, რომლებზეც იხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს. რამდენადმე გაუმჯობესდა დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე და მუდმივი კომისიების მუშაობა.

რაიონული საბჭოს აღმასკომი რეგულარულად იხილავს სასოფლო საბჭოების მუშაობის საკითხებს და ახორციელებს ღონისძიებებს მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა კარგად არის დაყენებული რიყის, ჭკადუაშის, კახათის, ჯიხასკარის, რუხის და ინგირის სასოფლო საბჭოებში, სადაც დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოს აქტივი სისტემატურად მონაწილეობენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საბჭოებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება და გამარჯვებული სასოფლო საბჭოსთვის დაწესებულია საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონულ და ზოგიერთ სასოფლო საბჭოს აღმასკომებს მუშაობაში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი. სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელობასა და კონტროლს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, ნაკლოვანებებია საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში.

საბჭოების ყველა დეპუტატი არ ასრულებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვალდებულებას ამომრჩევლების წინაშე ანგარიშგების შესახებ. გასულ წელს, რაიონული საბჭოს 138 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა მხოლოდ 76 დეპუტატმა, ანუ 55 პროცენტმა.

კორცხელისა და ახალსოფლის სასოფლო საბჭოების არცერთ დეპუტატს ანგარიში არ ჩაუბარებია ამომრჩევლებისათვის. ზოგიერთი სასოფლო საბჭო ზემდგომ ორგანოებში ადგენს არასწორ ცნობებს დეპუტატთა მიერ ანგარიშის ჩაბარებისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ. სასოფლო საბჭოს აღმასკომები არ იხილავენ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებულ წინადადებებს და არ სახავენ ღონისძიებებს მათ შესასრულებლად.

სუსტად მუშაობენ ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები. გასულ წელს, რაიონულ საბჭოსთან შექმნილი 10 მუდმივი კომისიიდან არც ერთი საკითხი არ შეუსწავლია სამს — ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საბიუჯეტოს და განათლების მუდმივ კომისიებს. მუდმივი კომისიები სუსტად მუშაობენ დარჩელის, კორცხელის, ოქტომბრის, ორჯონიკიძის, ნარაზენისა და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოში.

მოუმზადებლად ტარდება ზოგიერთი საბჭოს სესიები. დეპუტატები და აქტივი არადამაკმაყოფილებლად მონაწილეობენ საკითხების მომზადებასა და განხილვაში. სესიებზე სათანადოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამასთან, ზოგ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილებები არაკონკრეტულია.

ოდიშის, კორცხელისა და ახალსოფლის სასოფლო საბჭოებმა ადგილობრივი ბიუჯეტები დაამტკიცეს მოხსენებისა და კამათის გარეშე.

დარჩელის სასოფლო საბჭოს არ მოუწვევია სესია უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში, ხოლო აღმასკომის სხდომა მხოლოდ ერთხელ ჩატარდა ოთხი თვის განმავლობაში.

ადგილობრივ საბჭოებში დანერგილი არ არის მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. არ არის შექმნილი დეპუტატთა ჯგუფები და საბჭოები. 28 სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა მხოლოდ სამმა. სოფლის ყრილობა კი მხოლოდ ერთ საბჭოში ჩატარდა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგმასობრივ მუშაობაში არსებულმა ნაკლოვანებებმა სათანადო გავლენა იქონია რაიონის წაწარმოო მაჩვენებლებზე.

გასულ წელს, რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 99,1 პროცენტით შეასრულეს. სიმინდის მოსავლიანობის გეგმა — 90,8 პროცენტით, ფულადი შემოსავლის გეგმა — 70 პროცენტით.

რიგ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია ხორცისა და რძის წარმოების გეგმა. მაღალია პროდუქციის თვითღირებულება.

ბევრ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია და დაბალია შრომის დისციპლინა. 1965 წელს შრომა-დღეების სავალდებულო მი-

ნიმუმი არ გამოუმუშავებია 2.344 შრომისუნარიან კოლმეურნეს, ანუ 18,4 პროცენტს.

მიუხედავად იმისა, რომ ცაიშის კოლმეურნეობაში 229 შრომისუნარიან კოლმეურნეს, ანუ 42,9 პროცენტს, არ გამოუმუშავებია შრომა-დღეების სავალდებულო მინიმუმი და 60 კოლმეურნეს სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში, დაქირავებული მუშების შრომის ასანაზღაურებლად გაცემულია 15,6 ათასი მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ქალთა შრომის დიდი ხვედრითი წონის მიუხედავად, რაიონის კოლმეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სეზონური საბავშვო ბაღებისა და ბაგების მოწყობის საქმეს. გასულ წელს, 28 კოლმეურნეობიდან 20 კოლმეურნეობაში მოწყობილი არ იყო საბავშო ბაღი და ბაგა.

ადგილი აქვს დარღვევებს მიწათსარგებლობის დარგში (რუხის, ორულუს, ოქტომბრის, აბასთუმნის კოლმეურნეობები).

ხშირია შემთხვევები კოლმეურნეობებში დემოკრატიული პრინციპების დარღვევისა. კოლმეურნეობათა გამგეობები გადაწყვეტილებებს იღებენ ისეთი საკითხების გამო, რომელთა განხილვა უნდა ხდებოდეს საერთო კრებებზე.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში გამგეობის სხდომები და კოლმეურნეთა საერთო კრებები არ ტარდება რეგულარულად, სუსტად მუშაობენ სარევიზიო კომისიები.

უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად უკეთესი პირობები შეიქმნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის — გაფართოვდა ობიექტების ქსელი, დაინერგა მომსახურების ახალი სახეობები და სხვა. მაგრამ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე ჯერ კიდევ დაბალია. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მოწყობაში სათანადო მონაწილეობას არ იღებენ რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სამრეწველო საწარმოები. რაიონში არის ისეთი სოფლები და საბჭოები, სადაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არ არსებობს (საპარიკმახერო, ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო და სხვა).

ნაკლოვანებებია მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში.

რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში ადგილი აქვს ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევებს. დიდია დებიტორული და კრედიტორული დავალიანებანი, საქონლის ზენორმატული ნაშთები.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადაჭარბებით შესრულდა, ზოგიერთ სახეობაში არ შესრულებულა გეგმით გათვალისწინებული დავალება (საშემოსავლო გადასახადი კოოპერაციიდან, შემოსავალი სანახაობებიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი).

დანაშაულის შემთხვევათა შემცირების მიუხედავად, რაიონში კვლავ ადგილი აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, სპეკულაციას, ხულიგნობას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ფართოდ არ არიან ჩაბმული დეპუტატები, აქტივი; მოსახლეობაში არ ტარდება საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში. რაიონული საბჭოს აღმასკომში გასულ წელს შემოსული 3002 განცხადებიდან დიდი დაგვიანებით გაეცა პასუხი 320 განცხადებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საბჭოების მუშაობა წარმართონ ისე, რომ ყოველმხრივ უზრუნველყონ მათი როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, მუშაობაში ფართოდ იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „პოლტავის ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ“, რისთვისაც:

ა) უზრუნველყონ სესიებისა და აღმასკომების სხდომების დადგენილ ვადებში ჩატარება, არ დაუშვან სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განსახილველი საკითხების მოუმზადებლად გატანა. საკითხების მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებანი და უზრუნველყონ მათი შესრულება;

ბ) უზრუნველყონ, რომ ყველა დეპუტატმა პერიოდულად ჩააბაროს ანგარიში ამომრჩევლებს თავისი მუშაობის შესახებ; მოაწესრიგონ ამომრჩეველთა წინადადებების აღრიცხვა, შესწავლა და განხილვა; დასახონ საჭირო ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად;

გ) აღმოფხვრან მუდმივი კომისიების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და მათი მუშაობა წარმართონ საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების შესაბამისად;

დ) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას, მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეობის ყველა წევრი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს საკოლმეურნეო შრომაში. ბავშვიან ქალთა საკოლმეურნეო შრომაში უკეთ ჩაბმის მიზნით უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სეზონური საბავშვო დაწესებულებების გახსნა;

ე) კოლმეურნეობის გამგეობებთან ერთად შეამოწმონ როგორ ხორციელდება კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიწათსარგებლობის წესების მტკიცედ დაცვას და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ვ) არ დაუშვან საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევა; გამგეობების დადგენილებებით და ერთპიროვნული განკარგულებებით არ გადა-

წყვიტონ ისეთი საკითხები, რომელიც კოლმეურნეთა საერთო კრების ფუნქციაში შედის;

ზ) მიიღონ გადამჭრელი ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებისათვის; უზრუნველყონ, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი სკოლაში სწავლობდეს, გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის, რათა ჩააბან ისინი საწარმოო და საკოლმეურნეო შრომაში;

თ) ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, სისტემატურად მოაწყონ ლექციები და საუბრები, კინოსურათების ჩვენება; გააუმჯობესონ კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების და თვითმოქმედი წრეების მუშაობა;

ი) განახორციელონ ღონისძიებანი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად, სამკურნალო დაწესებულებებისა და მედიცინის დარგის მუშაკთა შრომის ნორმალური პირობების შესაქმნელად;

კ) გააძლიერონ კონკრეტული ხელმძღვანელობა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობისადმი, განამტკიცონ სავაჭრო ქსელი პატიოსანი და საქმის მცოდნე მუშაკებით, მიიღონ მკაცრი ზომები საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა მიმართ;

ლ) საბჭოსა და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოებისა და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები; გააძლიერონ კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი, მათი მუშაობის შემოწმებაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

მ) საბჭოების სესიებზე განიხილონ საკითხი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ და ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგისა და საბჭოთა კანონიერების დარღვევის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პატიმრობიდან განთავისუფლებულ პირთა შორის აღმზრდელობით ღონისძიებებს;

ნ) უზრუნველყონ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული დადგენილებების დროულად განხილვა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწესებულ ვადებში მშრომელთა განცხადებების და საჩივრების განხილვას, მოაწესრიგონ შემოსული განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა და დააწესონ კონტროლი, რომ განცხადებებზე დროულად იქნეს გაცემული ამომწურავი პასუხი.

2. დაევალოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. ი. ქანთარია):

ა) მკვეთრად გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოების მუშაობისადმი, პერიოდულად შეამოწმოს და მოისმინოს მათი მოხსენებები საბჭოს სამეურნეო კულტურული და ორგანიზაციული მუშაობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1966 წლის 1 ივლისამდე-სათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 22 აპრილი.

ბანყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“**:

1. ანზორ ვართანის ძე **არუთინოვი** — ქ. რუსთავის გასამხედროებული-სახანძრო დაცვის რაზმის ინსპექტორი.

2. აიდინ ისლამის ძე **ბაბაევი** — გარდაბნის მეხანძრეთა რაზმის უფროსი.

3. მუსტაფა სეიდ ოღლი **ბაირამოვი** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გასამხედროებული-სახანძრო დაცვის მძღოლი.

4. ლონგინოზ გიორგის ძე **ბაცილაშვილი** — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ელექტრომონტიორი.

5. ვახტანგ სამსონის ძე **გონიაშვილი** — ქ. თბილისის გასამხედროებული-სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

6. დიმიტრი ტროფიმეს ძე **ზალოილო** — ქ. თბილისის გასამხედროებული-სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

7. ივანე კირილეს ძე **კაშჩუკი** — რუსთავის ქიმიური კომბინატის უფროსი მეხანძრე.

8. იაკობ ილიას ძე **კოზაევი** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გასამხედროებული-სახანძრო დაცვის ათეულის მეთაური.

9. ვლადიმერ ვასილის ძე **კოსტიუკი** — ქ. თბილისის გასამხედროებული-სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

10. მერაბ რუბენის ძე **მერაბოვი** — რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის გასამხედროებული-სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

11. გიორგი პარმენის ძე **სამხარაძე** — ქ. თბილისის გასამხედროებული-სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური.

12. ლეო აპოლონის ძე **ციხისელი** — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგობლოკის უფროსი.

13. ვიქტორ სტეფანეს ძე **ციუხი** — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საამქროს ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ავთანდილ გალაქტიონის ძე ჭაბუკიანი — ქ. თბილისის გასამხედროებული-სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 22 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება:

1. ირაკლი გიორგის ძე **ანთელავას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორს.

2. ვალერიან ნიკოლოზის ძე **გაბაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორს.

3. თეოფანე ფარნას ძე **დავითაიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს.

4. არმენ გიორგის ძე **დოლუხანოვს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

5. ილია ნესტორის ძე **ვეკუას** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.

6. ნიკოლოზ პეტრეს ძე **ვეკუას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

7. იური მიხეილის ძე **კაჭარავას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორს.

8. ლუბა მანუჩარის ასულ **კემულარია-ნათაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

9. დავით ალექსანდრეს ძე **კვესელავას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის დირექტორს, პროფესორს.

10. ვაგან ივანეს ძე **მამასახლისოვს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

11. ლევან იოსების ძე **მარუაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

12. ნიკოლოზ ბარნაბის ძე **მახარაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

13. მათე მიხეილის ძე **მირიანაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტორს.

14. ვახტანგ რაჟდენის ძე **ნადირაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

15. ალექსი ივანეს ძე **რობაქიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორს.

16. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ფანჩვიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს.

17. ბორის ეპიფანეს ძე **ყურაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს.

18. მიხეილ ესტატეს ძე **შიშნიაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის პროფესორს.

19. არჩილ ლუკას ძე **ცაგარელს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

20. გიორგი სევერიანეს ძე **ჭოლოშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.

21. ფილიპე ილარიონის ძე **ხარჩილაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 5 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 ამხ. ე. ბ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თადარიგის გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ერმალოზ გრიგოლის ძე **კობერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის ინფორმაცია მახარაძის, ქობულეთისა და გალის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მდგომარეობისა და ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადყოფნის შესახებ.

კომისიაზე აღინიშნა, რომ მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ მუშაობას ეწევიან ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებისათვის, აგრეთვე სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ პლანტაციების სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ.

ამასთანავე, კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ პლანტაციების მოვლა-დამუშავებასა და ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადებაში არის არა ერთი ნაკლი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა გალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მათ პლანტაციების გასხვლა დაამთავრეს დაგვიანებით, გადამჭრელი ღონისძიებანი არ ხორციელდება სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ, ზოგიერთ კოლმეურნეობაში სათანადო საწყობების უქონლობის გამო სასუქები ინახება შეუფერებელ შენობებში, საკმაო რაოდენობით არ აქვთ აგრეთვე ჩაის საკრეფი მანქანების დასაყენებელი ფარდულები.

კომისიაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ გალის, მახარაძისა და ქობულეთის რაიონების ზოგ კოლმეურნეობაში ჯეროვნად ვერ იბრძვიან ჩაის მავნებელთა მოსასპობად.

„საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებები და განყოფილებები საკმარისი რაოდენობით მოძრავი სახელოსნოების უქონლობის გამო დროულად ვერ არემონტებენ კოლმეურნეობების ტექნიკას.

განხილული საკითხის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა: დეპუტატებმა ლ. ყანჩაველმა, ვ. ჯაყელმა და ი. ფუთურიძემ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. სეხნიაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსმა ამხ. პ. ჯორბენაძემ, ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. ჩხეიძემ და სხვებმა.

კომისიამ მიიღო დადგენილება და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

*

* *

ამ დღეებში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომაზე მოისმინეს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დე-

პუტატ დ. ვ. გელაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის 1966 წლის პირველი კვარტალის შემოსავლის გეგმის შესრულების შესახებ.

კომისიამ გადაწყვიტა, ეს საკითხი განსახილველად შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.